



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 440  
---

29 დეკემბერი  
“ --- ” ----- 2020 წ

## ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.16.03.058.062; №01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 28 დეკემბრის №20.1601.1941 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.16.03.058.062; №01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული №0120317767-67 (№0120344589-67; №01203572616-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



**განკარგულება - N 20.1601.1941**  
**28 / დეკემბერი / 2020 წ.**

ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა N4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.03.058.062; N01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 12 ნოემბერს N0120317767-67 (N0120344589-67; N01203572616-67) განცხადებით მიმართა ჯიმი კიტამ (პ/ნ 26001000499) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ო.კაპანაძის ქუჩა N4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.03.058.062; N01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის N4-ის, პალიასტომის ქუჩა N1-სა და ნორიოს აღმართის N2-ის მიმდებარედ, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.03.058.061; N01.16.03.058.062). საპროექტო არეალის ფართობი: 28 644 კვ.მ.

საპროექტო ტერიტორია მოიცავს ორ არეალს - საპროექტო არეალი N1 და საპროექტო არეალი N2. საპროექტო არეალი N1-ის ფართობი შეადგენს: 28 644 კვ.მ-ს. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ნორიოს აღმართი (მთავარი სამანქანო მისასვლელი), ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით - ვასილ კიკვიძის ქუჩა. საპროექტო ტერიტორიაზე ამჟამად განთავსებულია ყოფილი სამხედრო ბაზის ყაზარმა, რომელიც დღეისათვის გამოიყენება საცხოვრებლად. ტერიტორიის გარშემო, N2 საპროექტო არეალში, განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. მჭიდროდ არის დასახლებული აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილები. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების რეგულირების დეტალური პროექტი დამუშავებულია N1 არეალზე, ხოლო N2 არეალი არის პერსპექტიური განვითარების არეალი, რომელზეც შემდგომში უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და (ზოგადი) საცხოვრებელი ზონა (სზ). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.



წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დამუშავებულია „ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა N4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.062; N01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 ოქტომბრის N324 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესაბამისად.

საპროექტო წინადადებით დაგეგმილია არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). მათგან დომინირებული არის საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), სადაც განთავსებულია 4 სართულიანი, 15 მეტრის სიმაღლის დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლები და კომერციული ფართები. არადომინირებული კი - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სადაც განთავსებულია 4-7 სართულის სასტუმრო, საოფისე ფუნქციის შენობა-ნაგებობა. სარეკრეაციო ზონა 1-ში (სრზ-1) მოეწყობა სკვერი, ხოლო სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დადგენილი აქვს საავტომობილო გზას.

ფუნქციური გამოყენებები - საცხოვრებელი, კომერციული, სასტუმრო, საოფისე, სკვერი.

არსებული ზონირება: სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), (ზოგადი) საცხოვრებელი ზონა (სზ).

საპროექტო ზონირება: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

ნაკვეთი N001

მიწის ნაკვეთის ფართობი: 4 589,2 კვ.მ. (სზ-3)

კ-1= 0,3 - 1 497,46 კვ.მ

კ-2= 1,3 - 5 989,84 კვ.მ                      4 სართული, 15 მეტრი

კ-3= 0,5 - 2 201,28 კვ.მ

95 % საცხოვრებელი / 5 % კომერციული

ნაკვეთი N002

მიწის ნაკვეთის ფართობი: 4 664,84 კვ.მ. (სზ-3)

კ-1= 0,3 - 1 524,99 კვ.მ

კ-2= 1,3 - 6 099,96 კვ.მ                      4 სართული, 15 მეტრი

კ-3= 0,5 - 2 231,4 კვ.მ

95 % საცხოვრებელი / 5 % კომერციული

ნაკვეთი N003

მიწის ნაკვეთის ფართობი: 3 948.47 კვ.მ. (სზ-3)

კ-1= 0,4 - 1 515,52 კვ.მ

კ-2= 1,5 - 6 062.08 კვ.მ 4 სართული, 15 მეტრი

კ-3= 0,5 - 1 582.54 კვ.მ

95 % საცხოვრებელი / 5 % კომერციული

ნაკვეთი N004

მიწის ნაკვეთის ფართობი: 4 698.26 კვ.მ. (სზ-3)

კ-1= 0,4 - 1 794.65 კვ.მ

კ-2= 1,5 - 7 178.6 კვ.მ 4 სართული, 15 მეტრი

კ-3= 0,5 - 1 841.72 კვ.მ

95 % საცხოვრებელი / 5 % კომერციული

ნაკვეთი N005

მიწის ნაკვეთის ფართობი: 1 651.16 კვ.მ. (სსზ-2)

კ-1= 0,6 - 960.01 კვ.მ

კ-2= 3,2 - 5 244.16 კვ.მ 4-7 სართული

კ-3= 0,2 - 375.74 კვ.მ

75 % სასტუმრო / 25 % საოფისე

ნაკვეთი N006

მიწის ნაკვეთის ფართობი: 3 755.36 კვ.მ. (სზ-3)

კ-1= -

კ-2= -

კ-3= 0,6 - 2182.09 კვ.მ

კ-1, კ-2 არ არის დადგენილი (პერსპექტიული განვითარების არეალი)

ნაკვეთი N007

მიწის ნაკვეთის ფართობი: 1 020.93 კვ.მ. (რზ-1)

კ-1= -

კ-2= -

კ-3= 0,8 - 788.2 კვ.მ. - სკვერი

ნაკვეთი N008 (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 ოქტომბრის N2870834 ბრძანებით გაცემულია საჯარო საბავშვო ბაღის მშენებლობის ნებართვა)

მიწის ნაკვეთის ფართობი: 2 512 კვ.მ (რზ-1)

კ-1= 0,5 - 1 146.66 კვ.მ

კ-2= 1,4 - 1 733.88 კვ.მ საბავშვო ბაღი

კ-3= 0,2 - 421.1 კვ.მ

ნაკვეთი N009

მიწის ნაკვეთის ფართობი: 1 020.93 კვ.მ. (ტზ-1)

კ-1= -

კ-2= -

კ-3= 0,1 - 102,09 კვ.მ - საავტომობილო გზა

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 16 დეკემბრის N01203511529 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.16.03.058.061 და

N01.16.03.058.062 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 23 დეკემბრის N01203582401 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუანაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

წარმოდგენილი წინადადებითა და დასაბუთებით, ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა N4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.03.058.062; N01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0120317767-67 (N0120344589-67; N01203572616-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა N4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.03.058.062; N01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.


2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების

გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) ირაკლი ხმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



ვახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01203582401

თარიღი: 23/12/2020

პინი: 8485

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

2020 წლის 22 დეკემბრის 01203572616-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება, ქ. თბილისში, კაპანაძის ქუჩა N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.16.03.058.061; 01.16.03.058.062) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 21 სექტემბრის 01202651641-67 განცხადების პასუხად N 01202672472 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01203511529

თარიღი: 16/12/2020

პინი: 3849

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 9 დეკემბრის №0120344589-67 განცხადება და 14 დეკემბრის №01203492435-67 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც ეხება, ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:01.16.03.058.061, 01.16.03.058.062, ფუნქციური ზონა: სპეციალური ზონა 1, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2, საცხოვრებელი ზონა, სატრანსპორტო ზონა 1) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში №01.16.03.058.062 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი 93 ძირი მწვანე ნარგავი (№1, №8-12, №49, №120, №122-№123, №127-№132, №162, №177, №186-№189, №195, №201, №203-№205, №212, №243, №245, №251, №257, №260, №267-№272, №274-№275, №277-№278, №280-№290, №292- №295, №330, №340, №346, №354, №364-№365, №379, №398, №415, №422, №444, №447, №453, №467, №468-№469, №475, №477-№480, №482, №496, №506, №534, №540, №544-№546, №583-№584) განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მწვანე-ნარგავების რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი მწვანე ნარგავებისგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა 01.16.03.058.062 საკადასტრო ერთეულზე მოიჭრას 1 ძირი ხმობადი (№121) ზემურალა, 1 ძირი ზეხმელი (№154) კვიპაროზი, 3 ძირი ზეხმელი (№437, №570, №572 ) ფიჭვი, 1 ძირი ზეხმელი (№528) აკადია, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში 01.16.03.058.062 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი 152 ძირი მწვანე ნარგავის (№13-№14, №124-№125, №158, №176, №190-№191, №197, №202, №208-№209, №222-№223, №235-№238, №242, №244, №246-№249, №252, №254-№256, №258-№259, №262-№264, №266, №291, №296-№298, №311-№321, №323-№329, №332, №334, №338-№339, №347-№353, №361-№363, №366-№367, №380, №383-№384, №406, №418, №420-№421, №423-№424, №430-№432, №436, №442-№443, №445-№446, №448-№452, №458, №470, №476, №481, №483-№495, №497-№501, №504-№505, №509-№513, №523-№527, №529-№533, №535-№537, №539, №541-№543, №547, №549-№550, №555-№557, №565, №568, №571, №574, №576-№577) დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტისა და 21<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ 01.16.03.058.062 საკადასტრო ერთეულზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 42 ძირი გადასარგავი მწვანე ნარგავის (№118 D=68, №119 D =56, №157 D=42, №331 D=28, №387 D=32, №388 D = 28, №419 D=36 - კვიპაროზი, №159 D=46, №160 D=44, №161 D=52, №163 D=44, №164 D=44, №165 D = 50, №385 D=64, №395 D=56, №396 D=34, №397 D=36, №404 D=36, №405 D=36, №414 D=32, №416 D=32, №433 D=34, №548 D=32, №551 D=32, №552 D=32, №553 D=28, №554 D=40, №558 D=40, №559 D=38, №560 D=40, №561 D=40, №562 D=40, №563 D=40, №564 D=40, №566 D=34, №567 D=26, №569 D=36,

№573 D=34, №575 D=32 - ფიჭვი, №279 D=34 - თუთა, №429 D=40, №522 D=28 - აკაცია) დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტისა და 21<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს აღნიშნულ ხეებზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული - 181 და გადასარგავი - 194 ძირი მწვანე ნარგავი, ასევე **საპროექტოდ დასარგავი** - 10 ძირი ჰიმალაური კედარი, 12 ძირი იტალიური ფიჭვი, 17 ძირი ცაცხვი წითელფოთოლა, 20 ძირი კავკასიური აკაცია, 10 ძირი ევროპული მუხა, 10 ძირი იუდას ხე, 8 ძირი წითელი ტყემალი, 40 ძირი რობინია (**ჯამში: 502 ერთეული**)) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**11 119.59 მ<sup>2</sup>**). იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.16.03.058.061, 01.16.03.058.062 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.**



გამოყენებულია კვალიფიკური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი














[illegible]









